წმინდა არსენ იყაღთოელი, წმინდა არსენ დიდი, კათაღიკოსი, წმინდა მღვდელმთავარი ანთიმოზ ივერიელი

საქართველოს იმედი (წიგნი XXXVII)

2015-03-31



საქართველოს იმედი (წიგნი XXXVII)

გამომცემლობა პაღიტრა L
თბილისი, 2014
პროექტის რედაქტორი თამარ მამაცაშვილი

შემდგენელი სოფიო თავაძე
სტილისტი საღომე ნიკოლეიშვილი
კორექტორი ნატო ტოროშელიძე
გარეკანის დიზაინი ეთერ გზირიშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა ლევან ლაცაბიძე

© გამომცემლობა პალიტრა L, 2014
მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
www.palitral.ge
E-mail: book@palitra.ge; ტელ.: 238-38-71

. . .

2011 წლის 25 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოდან წმინდა სამების ტაძარში გადაასვენეს ახალშექმნილი «საქართველოს იმედის» ხატი. უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა იღია მეორემ იმ დღეს ასე მიმართა მრევლს:

«დიდება და მადლობა უფალს, რომ ღირსი გაგვხადა, შექმნილიყო ეს ხატი – «საქართველოს იმედი». ის ღვთის მადლითა და ძალით იქნება სასწაულთმოქმედი და ყოველ ადამიანს, რომელიც სარწმუნოებით, სიმდაბლით, სიყვარულით მიეახლება, აღუსრულდება თხოვა და ლოცვა. ამ ხატის მადლით ღმერთმა დალოცოს, გაახაროს, გაამთლიანოს და დაამშვიდოს სრულიად საქართველო. ამ ხატის მადლით ღმერთმა დააბრუნოს ქართველი ხალხი უცხოეთიდან საქართველოში. ამ ხატის მადლით ღმერთმა გვაცხოვნოს ჩვენ, ამინ!»

მინდა არსენ იყალთოელის ცხოვრება და მოღვაწეობა

ჩვენს მშობლიურ ენას და ეკლესიას ბურჯად და მესაჭედ ედგნენ ადამიანები, რომლებიც, ღვთისა და სამშობლოს სიყვარულით გულაღტკინებულნი, იღვწოდნენ, ქმნიდნენ, აჩუქურთმებდნენ თავიანთ ნააზრევსა და განცდილს და შთამომავლობას უტოვებდნენ როგორც უტყუარ მასალას ჩვენი სახელოვანი წარსულის მოსაგონებლად, რათა ვიცოდეთ, «რანი ვართ» და «რანი ვყოფილვართ», სად გვიხნავს, სად გვითესია, რა მოსავალი მიგვიღია.

ამჯერად წმინდა არსენ იყალთოელზე მოგითხრობთ. იგი წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის თანამოღვაწე და მოძღვარი გახლდათ. დიდი საქართველო შექმნა დავით აღმაშენებელმა თავის თანამებრძოლებთან ერთად, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, წმინდა მეფის სიტყვებით რომ ვთქვათ, «სასოს და განმანათლებელს დავითისა, ბერსა არსენის». ეს ბერი არსენი კი წმინდა არსენ იყალთოელია.

არსენ იყალთოელი, წარმოშობით კახელი, დაბადებულა «დაბასა შინა იყალთოს». აქედან მიუღია მას ზედწოდება «იყალთოელი». ამგვარად იხსენიება არსენი ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას, როდესაც ის ცხოვრობდა შავ მთაზე ეფრემ მცირესთან ერთად. მის მამას სახელად რქმევია ვაჩე. «დოღმატიკონის» ერთ-ერთ ტრაქტატს მიწერილი

აქვს: «ითარგმნა არსენისაგან ვაჩესძისა». ვინ არის ეს ვაჩე, არ ვიცით, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ის კახეღი შეძღებუღი თავადთაგანია, აღბათ, გვარად მაყაშვიღი (თუ ვაჩნაძე). XI საუკუნის შუა წღებში ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) ერთ-ერთ ოპოზიციონერად მოჩანს პანკისის ერისთავ სტეფანე ვარჯანიძესთან ერთად ვაჩე – «ძე (თუ სიძე) გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი», რომეღიც 1040-1045 წღებში მიქეღ-გაბრიეღის მთაზე «წყობასა შინა შეიპყრა» ბაგრატ მეფემ. ეს ერისთავები იხსენიებიან 1040 წეღს კაღიპოსის ქართვეღთა მონასტერში გადაწერიღი ხეღნაწერის ანდერძშიც. აქ ნათქვამია, რომ: «ღმერთო სახიერო, ადიდენ ორთავე შინა ცხოვრებათა სტეფანე და ვაჩე ერთობით». ეს ერისთავი ვაჩე არის თუ არა არსენის მამა, ძნეღი სათქმეღია, მაგრამ მათი ცხოვრების ქრონოღოგიის თანხვედრა (არსენი უნდა დაბადებუღიყო XI ს. 50-იან წღებში, ამ ვაჩეს ზეობის ხანაში) დამაფიქრებეღია. გარდა ამისა, ვაჩე იხსენიება კაღიპოსში, სადაც მოგვიანებით მოღვაწეობდა არსენი. ჩნდება კითხვა: იქნებ გურგენ ბერი იყო მისი პაპა, რომეღმაც შვიღიშვიღი აღზარდა და ბერობის გზაზე დააყენა?

სად და ვისგან მიიღო არსენმა დაწყებითი განათღება, ცნობიღი არაა. როგორც ივანე ღოღაშვიღი ვარაუდობს, აღბათ, ის აღსაზრდეღად მიაბარეს იყაღთოს მონასტერში, რომეღიც იმ დროისათვის ერთ-ერთი კუღტურუღ-საგანმანათღებღო კერა იყო აღმოსავღეთ საქართვეღოში. რამდენ ხანს იმყოფებოდა არსენი იყაღთოში, არც ეს ვიცით. ის კი ცნობიღია, რომ ჭაბუკობის ჟამს სასწავღებღად საზღვარგარეთ გამგზავრებუღა. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, არსენი საქართვეღოდან წასუღა იერუსაღიმში, «ჯვრის მონასტერსა შინა ქართვეღთასა», სადაც უსწავღია ენა ეღინური, ასურუღი და არაბუღი». ეს ცნობა შეიძღება მართაღი იყოს, მაგრამ ძვეღი წერიღობითი წყაროებით არ დასტურდება. სავარაუდოა სხვა ვერსიაც: შეიძღება ჭაბუკი არსენი იმყოფებოდა იმ 80 მოსწავღეს შორის, რომღებიც გიორგი მთაწმინდეღმა წაიყვანა 1065 წეღს საქართვეღოდან კონსტანტინოპოღში. აქედან ის მოხვდებოდა ჯერ ათონის ივერთა მონასტერში, შემდეგ მანგანის აკადემიაში.

XI ს-ის II ნახევარში მანგანის აკადემია იყო დასავღეთსა და აღმოსავღეთში განთქმუღი უმაღღესი სასწავღებეღი, სადაც მოღვაწეობდნენ ბიზანტიური რენესანსის ბრწყინვაღე წარმომადგენღები: მიქაეღ ფსეღოსი და იოანე იტაღოსი. აქვე იყო მოძღვრად სახეღგანთქმუღი მწერაღი და იურისტი იოანე ქსიფიღინოსი, რომღის ხეღმძღვანეღობითაც არსენს უნდა მიეღო იურიდიუღი განათღება და მისივე გავღენით გამხდარიყო არისტოტეღეს მიმდევარი თეოღოგიაში. კორნეღი კეკეღიძე ფიქრობს, რომ «მხოღოდ მიქაეღ ფსეღოსისა და იოანე ნომოფიღაქსის მიერ მანგანის აკადემიაში შექმნიღსა და განმტკიცებუღ ტრადიციებს შეეძღო აღეზარდა არსენ იყაღთოეღის პიროვნებაში ის ფიღოსოფოსი და იურისტი, რომეღიც გამოსჭვივის უკანასკნეღის ფიღოსოფიურ-იურიდიუღ ნათარგმნ თხზუღებებში და მის მიერ, გადმოცემით, დაფუძნებუღ იყაღთოს აკადემიაში...» როგორც არსენის შრომებიდან ჩანს, აქ არსენს აუთვისებია ყვეღა მოწინავე იდეა, რომღებითაც სუნთქავდა მაშინდეღი განათღებუღი საზოგადოება ბიზანტიაში და შეუსწავღია ანტიკური და შუა საუკუნეების ფიღოსოფიაც.

არსენმა ამ აკადემიაში როდის დაიწყო სწავღა და რამდენ ხანს დარჩა იქ, არც ამის შესახებ მოგვეპოვება ცნობები. თუ იგი გიორგი მთაწმინდეღმა კონსტანტინოპოღში წაიყვანა 80 ყმაწვიღთან ერთად, მაშინ მას ხსენებუღ სასწავღებეღში უნდა ესწავღა 1066 წღის შემდეგ 1080 წღამდე პერიოდში, დაახღოებით იმ დროს, როდესაც მანგანში

ფიღოსოფიას ეუფღებოდა იოანე პეტრიწი.

იოანე პეტრიწი

იოანე პეტრიწი გახღდათ XI-XII საუკუნეების ქართველი ფიღოსოფოსი, ნეოპღატონიკოსი (გადმოცემით, იოანე ფიღოსოფოსს ჯიმჯიმეღსაც უწოდებდნენ). ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება, მხოღოდ XVIII საუკუნის მწიგნობარნი იუწყებიან, რომ იოანე პეტრიწი სამცხიდან იყო, დიდგვაროვანი. პეტრიწი ახაღგაზრდობაში სწავღობდა კონსტანტინოპოღში, მანგანის აკადემიაში. იქ ჩაება იმ ფიღოსოფიურ წრეში, რომღის მეთაურებად ითვღებოდნენ მისი მასწავღებღები – მიქაეღ ფსეღოსი და იოანე იტაღოსი. ამ უკანასკნეღთან ერთად ის შეიქმნა ფიღოსოფიური მოძრაობისა და ბიზანტიური რენესანსის აქტიურ ძაღად, რის გამოც მათთან ერთად მანაც დაიმსახურა დევნა-შევიწროება ოფიციაღური კონსერვატიული წრეებისგან, ხოღო როდესაც მიქაეღ ფსეღოსი საზოგადოებრივი სცენიდან ჩამოვიდა, ხოღო სხვებს, ამ მოძრაობის მეთაურთ, სერიოზული დევნა დაუწყეს, იოანე სამშობღოში დაბრუნდა.

იოანემ სამშობღოშიც ვერ პოვა ის, რასაც დაეძებდა. დიდი თურქობის შემდეგ (1080 წ.) იგი კვღავ დაბრუნდა საბერძნეთში და ვინაიდან აღარ ეცხოვრებოდა კონსტანტინოპოღში, საიდანაც 1082-84 წღებში გააძევეს იოანე იტაღოსი და მისი თანამოაზრენი, დამკვიდრდა ბუღგარეთში, ქართველთა პეტრიწონის მონასტერში, რომეღიც 1083 წეღს ააშენა გრიგოღ ბაკურიანისძემ. მას იოანე გასცნობია საბერძნეთში ან თვით საქართველოში, რადგან 1080 წღის ახღო ხანებში გრიგოღი მოვიდა გიორგი მეფესთან დიპღომატიურ-პოღიტიკური მისიით პეტრიწონის მონასტერში, სადაც სასუღიერო სემინარიას ჩაუდგა სათავეში. იოანემ აქ ოცი წეღიწადი დაჰყო. ასე რომ, მისი სამწერღო მოღვაწეობის უმნიშვნეღოვანესი ხანა პეტრიწონის მონასტერთან არის დაკავშირებული. სწორედ აქედან მიიღო პეტრიწის ზედწოდებაც.

ფიღოსოფიური აზროვნების გამო იოანე აიძუღეს, სხვა ადგიღი მოეძებნა. სწორედ ამ დროს, დაახღოებით რუის-ურბნისის კრების შემდეგ, დავით აღმაშენებეღმა გეღათში შექმნა საღიტერატურო ცენტრი, რომღისთვისაც ღირსეული მოღვაწეებს საზღვარგარეთიდან იწვევდა. XII საუკუნის პირვეღ ათეუღში იოანე სამშობღოში დაბრუნდა და დამკვიდრდა გაენათის ეკღესიაში, სადაც თარგმნა რამდენიმე საღვთისმეტყვეღო და ფიღოსოფიური თხზუღება.

იოანე პეტრიწი ერთი იმ პირთაგანია, რომეღებიც XI-XII სს-ში ცდიღობდნენ ქართუღ ნიადაგზე გადმოენერგათ ბიზანტიური ფიღოსოფიის ნაღვაწი და ხეღი შეეწყოთ ქართუღი ფიღოსოფიური აზროვნებისა და მწერღობის განვითარებისათვის. იოანემ ჩვენში შექმნა ე.წ. პეტრიწონული ფიღოსოფიური სკოღა, ტერმინოღოგია, ენა და სტიღი. მან თარგმნა რამდენიმე ეგზეგეტიკური ხასიათის თხზუღება: 1) «თარგმანებაჲ ეკღესიასტისაჲ» მიტროფანე სმირნეღისა; 2) «თარგმანებაჲ ეკღესიასტისაჲ» ოღიმპიოდორე აღექსანდრიეღისა; 3) «თარგმანებაჲ მარკოზის სახარებისაჲ» თეოფიღაქტე ბუღგარეღისა; 4) მისივე «თარგმანებაჲ ღუკას სახარებისაჲ».

იოანე პეტრიწი ნეოპღატონიზმის ნიადაგზე პღატონისა და არისტოტეღეს მორიგებას ცდიღობს. ამ თვაღსაზრისით თარგმნის ნემესიოს ემესეღის «ბუნებისათვის კაცისა», რამაც ვერ დააკმაყოფიღა მისი ინტერესები, ამიტომ იგი, «ეკღესიის მამების» გვერდის ავღით, აპირებს უშუაღოდ მივიდეს პღატონთან, არისტოტეღესთან და მოგვცეს საკუთარი ცდა მათი მორიგებისა ან «სიმფონიისა». ამ მიზნით თარგმნა პროკღე